პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ЛЕЛО

№ 49 (3026)

12 მარტი, შაბათი, 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

# საქართველო — ბულგარეთი 14,5 : 9,5

საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდაველებმა სოფიაში გამოსვლით დაამთავრეს ბულგარეთის ტურნე. „უნივერსიადის“ დარბაზში გამართული ბოლო მატჩი სარეკორდო იყო როგორც მაყურებელთა რაოდენობით, ისე ინტერესითაც. ბულგარელებმა ამ შეხვედრაში გამოიყვანეს საუკეთესო შემადგენლობა — I ეროვნული ნაკრები.

უმჩატეს წონაში ალიბეგაშვილისა და ბაევის ჭიდილი ფრედ დამთავრდა. მჩატე და ქვემსუბუქ წონებში გამარჯვება იზეიმეს მასპინძლებმა: ბულგარეთის ნაკრების დებიუტანტმა, ახალგაზრდა პატრიკოვმა სძლია გოგიჩაშვილს, ხოლო გამოცდილმა ოსტატმა კოლევამ — ქარსაულიძეს.

მომდევნო ორ წონაში ქართველმა მოჭიდავეებმა წარმატებას მიაღწიეს: ბერიაშვილმა ქულებით მოუგო ოლიმპიური თამაშების ექს-ჩემპიონს ვილჩევს (სხვათა შორის, ბულგარელებმა იგი საგანგებოდ ამ შეხვედრისთვის შემოინახეს), ხოლო სალარაძემ — დერმენჯიევს.

ფრედ დამთავრდა საშუალო წონის ათლეტთა — ცხოვრებოვისა და გარჯევის ორთაბრძოლა. ამრიგად, ბოლო ორი შეხვედრის წინ ანგარიში გათანაბრდა — 3:3.

ლომაძემ (ქვემძიმე წონა) დაამარცხა შუსტაფოვი და საქართველოს ნაკრები 1 ქულით დაიწინაურა. ყველაზე უსიამოვნო მარცხი მასპინძლებმა მძიმე წონაში განიცადეს. საქმე ის არის, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონს აჰმედოვს სოფიაში არასდროს წაუგია ბრძოლა. ამჯერად კი მას ფარ-ხმალი დააყრევინა ქართველმა ფალავანმა კიკნაძემ, რომელმაც მეტოქეს ქულებით მოუგო.

შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 5:3.

საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრებმა ბულგარეთში 3 შეხვედრა ჩაატარა და სამივე მოიგო საერთო ანგარიშით — 14,5:9,5. მასპინძლების აღიარებით, სსრ კავშირის ჩემპიონი — საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია.

## გუნდის გულისთვის

## გ. აბრამიშვილი — ხუთეულში!




სვერდლოვსკი, 10 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). როცა „ლელოს“ წინა ნომერში კობა წაქაძის გვარი ორჭიდელთა შორის იხილეთ, ზოგიერთს ალბათ ეს კორესპონდენტის შეცდომად მოეჩვენა. საქმე ის არის, რომ ეს ცნობილი „მფრინავი მოთხილამურე“ ამ ამპლუაში არასდროს გამოსულა. მაგრამ ამჯერად მოხდა ისე, რომ საქართველოს გუნდის წევრი, კობას ძმა — ჯუდო უქეიფოდ შეიქნა და უფროსი წაქაძე გუნდის ინტერესების გამო ჩაება ორჭიდელთა ასპარეზობაში. რა თქმა უნდა, მისგან მაღალ შედეგს არავინ ელოდა, მაგრამ კობამ ვაჟკაცური საქმე ჩაიდინა — გუნდს ჩასთვლელი ქულა მისცა. ტრამპლინიდან ხტომაში მოპოვებული წარმატების (111 ადგილი) შემდეგ იგი 15-კილომეტრიან რბოლაში გამოვიდა და საბოლოოდ ორჭიდში 73-ე ადგილი დიკავა. საქართველოს სპორტსმენთაგან იგი საუკეთესო იყო.

დიდი ინტერესი გამოიწვია ვაჟთა ესტაფეტამ 4×10 კმ. აქ ყველას აჯობა მოსკოველი მოთხილამურეების ყვარტეტმა — ა. აკენტიევმა, ვ. ვედენინმა, ი. ვორონჩიხინმა და ა. ბაბეკინმა. გამარჯვებულთა დროა 2 საათი და 33 წუთი. მოსკოვის გუნდს თითქმის წუთნახევრით ჩამორჩა ვერცხლის პრიზიორი — ნოვოსიბირსკის ოლქის ნაკრები (2:34.27,0). ესტაფეტის დასკვნით ეტაპზე ამ გუნდის ღირსებას იცავდა სპარტაკიადის საუკეთესო იუნიორი, 19 წლის ა. ტიხონოვი.

დიდ წარმატებას მიაღწია ციმბირის მეორე გუნდმაც — კემეროვოს ოლქის ნაკრებმა. ბრინჯაოს მედლების მფლობელთა დროა 2:35.35.0.

ტერსკოლი, 10 მარტი. სპეციალურ სლალომში დღეს გამართული ვაჟთა ასპარეზობა მხოლოდ სამჭიდის ჯამში შედიოდა. ამ სახეობაში პირად მედლებს ქალები ხვალ გაითამაშებენ, ხოლო ვაჟები — ზეგ. სამაგიეროდ, გუნდური ბრძოლა დღევანდელი შეჯიბრებით დამთავრდა (გაიმარჯვეს მოსკოველებმა).

სლალომის 500-მეტრიან ტრასაზე (63 კარი) ყველაზე სწრაფად ჩაიქროლა მოსკოველმა ვ. ტალიანოვმა. მეორე იყო გამარჯვებულის თანაგუნდელი ტ. მონასტირიოვი, ხოლო მესამე — ვ. მელნიკოვი (მურმანსკის ოლქი). ტალიანოვმა გაიხადა პირველობა სამჭიდში — 3.48 ქულა. ვერცხლის მედალი მოიხვეჭა მონასტირიოვმა (3,52), ბრინჯაოსი — მელნიკოვმა (7,70).

V ადგილი დაიკავა საქართველოს გუნდის წევრმა გ. აბრამიშვილმა — 23,48 ქულა. ჭაბუკთა შორის უძლიერესი იყო თბილისელი ბ. კახიანი — 32,37 ქულა.

ქალთა შორის სამჭიდში ოქროს მედალი მოიპოვა სვერდლოვსკელმა გ. ბალოზიონოვამ. ვერცხლის მედალს დაეუფლა ლენინგრადელი ს. დემიდოვა, ხოლო ბრინჯაოსას — ასევე ლენინგრადელი ა. ივანოვა.

**ლიუბლიანა, 10 მარტი.** ჰოკეისტთა მსოფლიო ჩემპიონატი გადამწყვეტ სტადიას მიაღწია: დაიწყო ჩვენი პლანეტის „დიდი ოთხეულის“ ორთაბრძოლები. დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკია — კანადა და სსრ კავშირი — შვეიცია.

ამ ორთაბრძოლებისადმი ინტერესი განუზომლად დიდი იყო. ჰოკეისტებმაც გაამართლეს 12 ათასი მაყურებლის მოლოდინი — ორივე მატჩი უაღრესად საინტერესო და მწვავე ჭიდილით აღინიშნა.

ჩეხოსლოვაკიელებმა შეხვედრის ბოლო წუთზე შეძლეს გადამწყვეტი შაიბის გატანა და გაიმარჯვეს — 2:1.

მეორე შეხვედრა თანაბარი ბრძოლით აღინიშნა, თუმცა საბჭოთა ჰოკეისტებს ყოველთვის უხდებოდათ დაწინაურებულ მეტოქესთან „ანგარიშის გასწორება“. საბოლოოდ თამაში დამთავრდა ფრედ — 3:3.

უძლიერესთა ჯგუფში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 5 | 0 | 0 | 29:7 | 10 |
| სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 0 | 45:6 | 9 |
| კანადა | 5 | 4 | 0 | 1 | 29:5 | 8 |
| შვეიცია | 5 | 3 | 1 | 1 | 23:11 | 7 |
| გდრ | 5 | 2 | 0 | 3 | 8:23 | 4 |
| ფინეთი | 5 | 1 | 0 | 4 | 9:36 | 2 |
| აშშ | 5 | 0 | 0 | 5 | 8:35 | 0 |
| პოლონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:32 | 0 |

## „დიდმა ოთხეულმა“ გადაჰკრა იარაღი

### ევროპის ჭვეყნების ჩემპიონთა თასზე

**სოფიაში** ბულგარეთის „ჩერვენო ზნამიას“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ნახევარფინალურ მატჩში დაამარცხა ათენის აეკ-ი — 94:69 (39:30).

**ანტვერპენში** ბელგიის „რესინგის“ კალათბურთელმა ვაჟებმა შეხვედრა მოუგეს პრაღის „სლავიას“ — 104:91 (63:53).



◆ სვერდლოვსკი, 11 მარტი. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადაზე დღეს გაიმართა ესტაფეტა 4×5 კმ. ყველას აჯობებს ლენინგრადელმა მოთხილამურე ქალებმა — ნ. ზაიცევამ, ე. მეკშილომ, ა. კაალისტემ და მ. გუსაკოვამ. ჩემპიონთა დროა 1:30.02.0. II ადგილზე არიან მოსკოველები: ა. კოლჩინა, რ. აჩკინა, ლ. სერგეევა და ვ. კომაროვა (1.30.38 0). III — სვერდლოვსკის ოლქის გუნდი (ზ. სობოლევა, გ. კარულინა, ვ. ხალიტოვა და კ. ბოიარსკიხი) — 1.34.12.0.

◆ ტერსკოლი. 11 მარტი. სპარტაკიადის მონაწილე ქალებმა გაითამაშეს სამთო-სათხილამურო სპორტის ბოლო ოქროს მედალი. სპეციალურ სლალომში მისი მფლობელი ვახდა ნ. მერკულოვა (მოსკოვი) — 1 52 7. II ადგილზეა ს. დემიდოვა (ლენინგრადი) — 1.54.0. III — ა. კონიაევა (მოსკოვის ოლქი) — 1.55,6. საქართველოს სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ნ. ფალიანი (3.17,3), რომელმაც 30-მოსასპარეზეში XVIII ადგილი დიკავა.

◆ **ვრნიაჩკა-ბანია,** 11 მარტი. 8 მარტისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში უკვე განვლილია 3 ტური. ნ. ჯაფრინდაშვილმა სტარტზე მარცხის შემდეგ II ტურში მოუგო იუგოსლავიელ მ. ლილიაკს, ხოლო მესამეში — ჰოლანდიელ კ. ვრეკენს. 2 ქულით მსოფლიოს ჩემპიონი II ადგილს იყოფს მასპინძლებთან — კ. იოვანოვიჩსა და ვ. ნედელკოვიჩთან ერთად. 2,5 ქულით ლიდერობს რუმინელი ა. ნიკოლაუ.

◆ **კოპენჰაგენი,** 11 მარტი. აქ გაიმართა ე. გელერ — ბ. ლარსენის მატჩის I პარტია. იგი გადაიდო 41-ე სვლაზე დანიელი მოჭადრაკის უპირატესობით.

## გუშინ...

**თბილისის** ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის VII ტურში ხუბულურმა მოუგო ბელოზიოროვას, კობაიძემ — სარაიდაროვას, ხოლო გოგიავა — ნაჭყებიასა და კუპრაშვილი — ხუგაშვილის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

## ჟურნალისტები ეკითხებიან

### გათუმი

**აქ ჩატარდა** აჭარის კალათბურთელთა ჩემპიონატი. ქალთა შორის პირველობის ბედი გადაწყდა ბავშვთა სპორტსკოლისა და პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდების ბრძოლაში. გაიმარჯვეს ნორჩმა კალათბურთელებმა. ვაჟებში ყველას აჯობა „ოდნიკამ“, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა „სპარტაკი“.

ი. ბერძენიშვილი.

### წითელწყარო

**გაიმართა** რაიონის ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. ჩემპიონები გახდნენ: გ. მარტყოფლიშვილი, ვ. ჯანაშვილი, ვ. მოსულიშვილი, რ. გავაშელაშვილი (ყველანი — ზემო მაჩხაანი), შ. ბუნტური (ზემო ქედი), ვ. ანდრიაშვილი, თ. გუმაშვილი (ორივენი — წითელწყარო), ო. ბოძაშვილი და ფ. მარტიაშვილი (ორივენი — ქვემო ქედი).

გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს მაჩხაანელებმა.

გ. ყოჩიაშვილი.

### სილნაღი

**სოფელ** ქვემო ბოლბის კლუბში ჩატარდა „კოლმეურნის“ რაიასბჭოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. I ადგილები მოიპოვეს: ნ. კოკილაშვილმა, დ. ნახარაშვილმა, მ. ჯიბღაშვილმა (სამივენი — წნორი), თ. ჯოხარიძემ, ი. გუმაშვილმა, ი. ნათათრელაშვილმა (სამივენი—მაჩხაანის ზოოვეტერინარული ტექნიკუმი).

გუნდური პირველობა წილად ხვდათ მაჩხაანის ზოოვეტერინარული ტექნიკუმის ათლეტებს.

ბ. ბოსულიშვილი.

### ხაშური

**ადგილობრივი** ბავშვთა სპორტსკოლის კალათბურთელთა ნაკრებმა ჯუნდებმა 6 შეხვედრა გამართეს ზესტაფონელ, ჭიათურელ და ბორჯომელ მეგობრებთან. მატჩები ჩატარდა როგორც საკუთარ, ისე მეტოქეთა მოედნებზე. ხაშურელმა გოგონებმა ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს, ვაჟებმა კი 4 მოიგეს და 2 წააგეს.

ბოლო მატჩები გაიმართა ხაშურში. მასპინძლები შეხვდნენ ჭიათურელ კალათბურთელებს და გაიმარჯვეს: ჭაბუკებმა ანგარიშით 67:65, ხოლო გოგონებმა — 45:25.

ზ. მოსეშვილი.



**დიდი მეგობრობა აკავშირებთ რუსთავის ქიმიური კომბინატისა და ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის სპორტსმენებს, რომლებიც სისტემატიურად ხვდებიან ერთმანეთს. აი, ამას წინათაც მოეწყო ასეთი შეხვედრა: რუსთავში საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ ქუთაისელი სტუმრები და ამბანაგური შეჯიბრებები გამართეს ფრენბურთსა და კალათბურთში. ფრენბურთში გამარჯვება წილად ხვდათ მასპინძლებს — 2:1 (15:7, 6:15, 15:8), ხოლო კალათბურთში — სტუმრებს — 67:48 (27:20).**

**სურათზე: ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.**

ფოტო და ტექსტი რ. გაბრიელიძისა.

## ჩოხუა ჯაჯეთი ლენინგრადელ მჭიდაოს...

ქაირო, 11 მარტი. ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე დაღვა გადამწყვეტი ღღეები. ერთეულთა შეჯიბრებებში ბრძოლას გამოეთიშნენ საჭოთა სპორტსმენები: თ. ლეიუაი, რომელმაც წააგო ავსტრალიელ კ. ფლეტჩერთან (2:6, 3:6, 3:6) და გ. ბაკშევა (წააგო ნისვნთან (გფრ) — 2:6, 4.6).

მხოლოდ ა. მეტრეველი განაგრძობს ბრძოლას. მორიგ მატჩში მან დაამარცხა რუმინელი ი. ცირიაკი (6:3, 7:5, 6.4) და ნახევარფინალში გავიდა.

ნახევარფინალში ვერ გავიდა ავერთვე თ. ლეიუს — ს. ლიმაჩოვის წყვილი, რომელიც დამარცხდა კ. ფლეტჩერ — ი. ელ-შაფეის (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა) დუეტთან — 6:3, 3:6, 7:9.

ა. მეტრეველმა ჩეხოსლოვაკიელ ი. იავორსკისთან წყვილში წააგო შვედ ი. ლუნდკვისტსა და დანიელ ტ. ულრიჰთან — 6:4, 5:7, 0.6.

# ა. მეტრეველი ნახევარფინალში

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# იმედის მომცემია

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში „სპორტის დედოფალი“ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი „ამალით“ იქნება წარმოდგენილი. გამარჯვებისთვის იბრძოლებენ როგორც მოზრდილთა, ისე მოსწავლეთა და საწარმოთა კოლექტივების მძლეოსნები. ასეთი მრავალრიცხოვანი არმიის სათანადო „აღჭურვა“ და სპარტაკიადაში წარმატებით გამოსვლა ხანგრძლივ, უაღრესად სერიოზულ სამზადისს საჭიროებს. სამზადისი კი საქართველოში დროულად დაიწყო: ინტენსიური გახდა სექციების მუშაობა, იმატა ასპარეზობათა რაოდენობამ და ხარისხმა, ამაღლდა ტექნიკური შედეგები. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყო თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ამას წინათ ჩატარებულმა მოსწავლეთა რესპუბლიკურმა ზამთრის ტურნირმაც.

17 გუნდის 400-მდე სპორტსმენი! აი, ამ ასპარეზობის პირველი სასიხარულო მაჩვენებელი. თუ აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ შეჯიბრების სამ დღეში დამყარდა ჭაბუკთა 2 რესპუბლიკური რეკორდი და ათობით მძლეოსანმა მოიპოვა საკმაოდ მაღალი შედეგები, ნათელი გახდება, რომ თბილისის, აჭარის, ქუთაისის, მახარაძის, გორის, რუსთავის, ხაშურის და სხვა ქალაქების მწვრთნელებსა და სპორტსმენებს კარგად გამოუყენებიათ წლევანდელი ზამთრის თბილი ამინდი. დასანანია მხოლოდ ის, რომ თავის შესაძლებლობაზე უარესად გამოვიდა აფხაზეთის კოლექტივი. აქაური მოსწავლე-მძლეოსნები გუნდურ ჩათვლაში მუდამ საპრიზო ადგილებს იკავებდნენ, ამჟამად კი მათ მიღმა დარჩნენ. სამაგიეროდ, საგრძნობი მუშაობა გაუწევია აჭარის ნაკრებს, რომელიც მხოლოდ თბილისის გუნდს ჩამორჩა.

ჩვენი მძლეოსნობის რეზერვის კარგი მაჩვენებლები მით უფრო გვახარებს, რომ ისინი მიღწეულია არა რომელიმე ერთ სახეობაში, არამედ მრავალჭიდში (1948-49 და 1950-51 წ. წ. დაბადებული ქალიშვილები და ჭაბუკები ძალებს ცდიდნენ ორ-ორ სახეობაში). პრიზიორთაგან ყველამ აჩვენა მოზრდილთა რომელიმე თანრიგის შედეგი, ბევრმა — II თანრიგის, ხოლო ოთხმა — I თანრიგისა. განსაკუთრებით ქეჩის ღირსნი არიან: 15-16 წლის გოგონებიდან — თბილისელები ლ. კორკოტაძე და თ. რეფერტი, ბიჭებში — ქუთაისელები ა. მოშიაშვილი და ა. კაზაკი, მახარაძელი — თ. ხმელიძე. 17-18-წლიან გოგონათა შორის წლევანს ბევრია მოსალოდნელი თბილისელი გ. კონონენკოსგან (ერთადერთმა მან „გადაბიჯა“ 2.000 ქულას). ზამთრის გამოცდები კარგად ჩააბარეს აგრეთვე ქუთაისელებმა ლ. პაბოკამ და ჯ. ჩუბინიძემ. რაც შეეხებათ უფროსი ასაკის ვაჟებს, აქ, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იქცევს თბილისელი სტუდენტის ი. ცანავას (დაამყარა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი 1.000 მ რბენაში — 2.37,8), ი. კოვინკოს (ბათუმი), ჯ. მგელაძის (თბილისი) მაჩვენებლები.

სპორტულ სიარულში ასპარეზობა ყველაზე სასიამოვნო სიურპრიზი იყო, ვინაიდან უკვე რამდენიმე წელია მოზრდილთა რესპუბლიკურ ტურნირში 2-3 სპორტსმენი მონაწილეობს ხოლმე. ამჯერად კი ბრძოლაში ჩაება 15 მძლეოსანი, რომელთაც გასავლელი ჰქონდათ 5 კმ, რის შემდეგ მათ 2.000 მეტრზეც უნდა ერბინათ. ამ 2 რთული და მძიმე დისტანციის მიუხედავად, არც ერთი არ შეუშინდა ბრძოლას. სასიამოვნოა ისიც, რომ სამივე პრიზიორი თავდაუზოგავად იბრძოდა და მეტად მჭიდრო მაჩვენებლებიც მოიპოვეს. თანაც სამივემ შეასრულა მოზრდილთა III თანრიგის ნორმა როგორც სპორტულ სიარულში, ისე რბენაში.

ერთი სიტყვით, ტურნირმა ბევრი ნიჭიერი, ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდა გამოავლინა. იმედი გვაქვს, რომ საათანადო საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ სპორტსმენები ხალხთა სპარტაკიადაში თავს არ შეირცხვენენ.

კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებას ჩრდილი მიაყენა სამტრედიის გუნდის წევრის, მე-2 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელის, 16 წლის დ. ჭაფოძის საქციელმა. ამ ჭაბუკმა სიყალბე ჩაიდინა: ბირთვი აკერკვინა თანაგუნდელ თ. გოგიბერიძეს, რომელიც უფროს ასაკში მონაწილეობდა. ცხადია, ჭაფოძე შეჯიბრებიდან მოხსნეს (სამტრედიის გუნდი ბოლო ადგილზე გავიდა). ამ მაქინაციაში, სამწუხაროდ, გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელის — გ. მუქერიას ხელი ერია.

ო. გელაშვილი.

* * *



**სურათებზე:** მარჯვნივ — **თ. ხმელიძე შეჯიბრების დროს;** მარცხნივ — **ფინიშთანაა ლ. კორკოტაძე.**

ფოტო **შ. ზარგარიანისა.**



## სარბიელი, სპორტსმენი და ბიგბიები

**1950-51 წ. წ. დაბადებულნი. გოგონები.** 60 და 300 მ რბენა — ლ. კორკოტაძე (თბილისი I)—8,1 და 43,7; 50 მ თარჯრბენი და 60 მ რბენა — თ. რეფერტი (თბილისი I) — 7,9 და 8,5; სიმაღლე და სიგრძე — ლ. ილიუშინა (აფხაზეთი) — 145 და 413 სმ; ბირთვი და 60 მ — ლ. საბაური (თბილისი I) — 12,19 და 8,8. **ბიჭები.** 60 და 300 მ — ა. მოშიაშვილი (ქუთაისი)— 7,3 და 39,2; 1.000 და 60 მ — ზ. კოვზირიძე (გლდანის სკოლა-ინტერნატი) — 2.53,2 და 7,6; 55 მ თარჯრბენი და 60 მ — ა. კაზაკი (ქუთაისი) — 8,0 და 7,7; ბირთვი და 60 მ — თ. ხმელიძე (მახარაძე) — 13,58 და 7,8; სიმაღლე და სიგრძე — ვ. ვიბლიანი (გლდანის სკოლა-ინტერნატი) — 165 და 546 სმ.

**1948-49 წ. წ. დაბადებულნი. გოგონები.** 60 და 300 მ — ვ. იასშიანი (თბილისი I) — 7,8 და 44,4; 500 და 60 მ — ლ. პაბოკა (ქუთაისი) — 1.20,3 და 8,2; 50 მ თარჯრბენი და 60 მ — გ. კონონენკო (თბილისი I) — 7,7 და 7,4; სიგრძე და 60 მ — ლ. ბალაშოვა (თბილისი I) — 522 და 8,2; სიმაღლე და 60 მ — ჯ. ჩუბინიძე (ქუთაისი) — 150 და 8,9; ბირთვი და 60 მ — ტ. ზნახურენკო (აჭარა) — 10,74 და 9,2; ბადრო და 60 მ — ლ. ბოცვაძე (აჭარა) — 35,75 და 8,9; შუბი და ბურთი — ლ. ბაკალინა (აფხაზეთი) — 36,77 და 12,53. **ჭაბუკები.** 60 და 300 მ — თ. მდინარაძე (მახარაძე) — 6,9 და 37,3; 600 და 60 მ — რ. ზედგინიძე (გორი)—1.26,4 და 7,5; 1.000 და 300 მ — ი. ცანავა (თბილისი, პირადი) — 2.37,8 და 38,8; 5 კმ სპორტული სიარული და 2.000 მ რბენა — ჯ. მგელაძე (თბილისი II) — 26.43,8 და 6.42,8; 55 მ თარჯრბენი და 60 მ — ვ. ჩერნოვი (თბილისი, პირადი) — 7,9 და 7,4; სიგრძე და 60 მ — ზ. ალხანაიძე (გლდანის სკოლა-ინტერნატი) — 667 და 7,2; სიმაღლე და 60 მ — ო. ჩახუნაშვილი (თბილისი, პირადი) — 180 და 7,8; სამხტომი და 60 მ — ა. ბაბაევი (თბილისი, პირადი) — 14,81 და 7,4; ბირთვი და 60 მ — მ. ჟამკოციანი (ხაშური) — 14,12 და 7,5; ბადრო და 60 მ — ლ. უაჯრიშვილი (თბილისი I) — 43,64 და 7,4; ჭოკი და 60 მ — ვ. ზუბკო (თბილისი I)—360 და 7,4; ურო და 60 მ — ო. ჯინჭარაშვილი (გლდანის სკოლა-ინტერნატი) — 48,81 და 7,8; შუბი და ბურთი — ი. კოვინკო (აჭარა) — 61,27 და 16,82.

**გუნდური: I ჯგუფი:** 1. თბილისი I, 2. აჭარა, 3. ქუთაისი; **II ჯგუფი:** 1. მახარაძე, 2. გორი, 3. რუსთავი.

## ერთი გამოკვლევის შედეგები

**მწვრთნელის ტრიბუნა**

მას შემდეგ, რაც ფრენბურთის თამაშის წესებში სიახლე შეიტანეს — ბლოკის დაყენებისას ნებადართულ იქნა ბადეზე ხელების გადატანა — ერთ წელზე მეტი გავიდა. ჩვენ დავინტერესდით გაგვერკვია, თუ რა გავლენას ახდენს თამაშის წესების ეს არსებითი ცვლილება თავდასხმითი დარტყმის ხარისხზე. ხომ ყველასთვის ნათელია, რომ ადრეც (ამ ცვლილებამდე) არ იყო იოლი თავდასხმითი დარტყმა (ამას აძნელებდა ბლოკი).

როგორაა ახლა ამ მხრივ საქმე?

დაკვირვების საგნად ავიღეთ „ა“ კლასის ქალთა 12 გუნდი, რომლებიც მონაწილეობდნენ 1965 წლის საკავშირო პირველობის დასკვნით ტურში და მიზნად დავისახეთ დაგვედგინა ადგილი, საიდანაც ყველაზე ეფექტურად სრულდება თავდასხმითი დარტყმა. ათ მატჩში, რომლებსაც ჩვენ ვაკვირდებოდით, შესრულდა 1801 თავდასხმითი დარტყმა, მათგან მე-4 ზონაში — 790, მე-3 ზონაში — 372, მე-2 ზონაში—639.

389 დარტყმა შესრულდა ბადიდან ნახევარი მეტრის დაშორებით, 622 — 1 მეტრის დაშორებით, 528 — მეტრნახევრის დაშორებით, 174 — 2 მეტრის დაშორებით, 48 — 2,5 მეტრის დაშორებით, 35 — 3 მეტრის დაშორებით, ხოლო 5 — დაახლოებით 4 მეტრის დაშორებით.

1801 თავდასხმითი დარტყმიდან 877 დარტყმა (48 პროცენტი) ერთმაგად იქნა ბლოკირებული, 720 (40 პროცენტი) — ორმაგად, 6 (1 პროცენტი) — სამმაგად. 198 დარტყმა შესრულდა უბლოკოდ.

აღმოჩნდა, რომ თავდასხმითი დარტყმა ყველაზე ეფექტურია ბადიდან 1,5-2,5 მეტრით დაშორებული ადგილებიდან (65-70 პროცენტი). შედარებით მცირე ეფექტი მოაქვს ბადიდან 0,5 მეტრით დაშორებული ადგილებიდან შესრულებულ თავდასხმით დარტყმას (ეფექტურობა უდრის 45 პროცენტს).

ამ გამოკვლევიდან მწვრთნელებსა და ფრენბურთელებს შეუძლიათ შესაბამისი დასკვნების გამოტანა. დაკვირვების საფუძველზე შეიძლება იმის თქმაც, რომ მე-3 ზონაში ნაკლებად სრულდებოდა თავდასხმითი დარტყმები, ავრეთვე არადამაკმაყოფილებლად ხდებოდა ჯგუფური — სამმაგი ბლოკის დაყენება.

თუ წესების აღნიშნული პუნქტის შეცვლამდე თავდასხმითი დარტყმა უმთავრესად სრულდებოდა ზედ ბადესთან ან უშუალოდ მის სიახლოეს, ახლა თავდასხმითი დარტყმები სრულდება ბადიდან საკმაო დაშორებით.

თავდასხმითი დარტყმების შესასრულებლად რაიმე გარკვეული დაშორების (ლაპარაკია ბადიდან დიდ დაშორებაზე) ადგილის შეთავაზება არ იქნება სწორი, თვითეულმა მოთამაშემ თავად უნდა მოძებნოს ეს „შორი წერტილი“, საიდანაც მას უფრო ეფექტურად ძალუძს თავდასხმითი დარტყმა.

**ე. ამირანაშვილი,**
**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

**პირველი წერილი**

## წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **ნიჩბოსნობაში** — ხ. ცხოვრებოვს, ა. არუთინოვს (თბილისი, განათლების სამინისტრო); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ვ. ჭელიძეს (სოხუმი, „კოლმეურნე“); **სამბოში** — ჯ. გუთნიაშვილს (ასპი, „კოლმეურნე“); **სასტენდო სროლაში** — ბ. იუნკინს (რუსთავი, „ლოკომოტივი“); **სათხილამურო სპორტში** — შ. ცნობილაძეს (თბილისი, „განთიადი“), ნ. ფალიანს (მესტია, „კოლმეურნე“), ქ. ჯეირანაშვილს (ბაკურიანი, „კოლმეურნე“), ი. ნასყიდაშვილს, მ. თვაურს (ორივე — ბაკურიანი, განათლების განყოფილება), ო. ხვედელიძეს (ბაკურიანი, „დინამო“).

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა **ხელბურთში** — თ. ჩხარტიშვილს (თბილისი).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა: **ფეხბურთში** — გ. აბაზაძეს, ე. ჩიფრიფურს (ორივე — თბილისი); **ბაშში** — ს. საგიევს (თბილისი); **ჩოგბურთში** — ე. კალმეკოვს (თბილისი); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — გ. ქინქლაძეს (თბილისი).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა: **ქართულ ჭიდაობაში** — გ. ჩაფურიშვილს (ახმეტა).

* * *

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ფეხბურთში** — გ. აბაზაძეს, ე. ჩიფრიფურს (ორივე — თბილისი); **ბაშში** — ს. საგიევს (თბილისი); **ჩოგბურთში** — ე. კალმეკოვს (თბილისი); **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — გ. ქინქლაძეს (თბილისი).

## ობიექტურია თუ არა

უძლიერეს მოცურავეთა ან მძლეოსანთა სიის შედგენა იოლი საქმეა, ვინაიდან სპორტსმენის სასარგებლოდ ან მის საწინააღმდეგოდ წამები და სანტიმეტრები მეტყველებენ. დიდ სირთულეს არც ჩოგბურთელთა და ბადმინტონისტთა კლასიფიკაცია წარმოადგენს: აქ საფუძვლად იღებენ წლის შანძილზე ერთ ან რამდენიმე დიდ ტურნირში ნაჩვენებ შედეგებს.

მაგრამ როგორ მოვიქცეთ ფეხბურთელთა, ჰოკეისტთა, ფრენბურთელთა ან სპორტის სხვა გუნდური სახეობების წარმომადგენელთა მიმართ, სადაც შეფასებისთვის არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმი?

კალათბურთელებმა მონახეს გამოსავალი. როგორც ცნობილია, კალათბურთელთა მატჩის ტექნიკური ოქმი ბევრ შეკითხვაზე გვაძლევს პასუხს. ოქმიდან შეიძლება გავიგოთ, რამდენი ქულა შეხძინა ამა თუ იმ მოთამაშემ გუნდს, მათ შორის — რამდენი ახლო, რამდენი სამუალო და რამდენი შორი მანძილიდან, როგორია სროლათა სიზუსტის პროცენტი; როგორ ისარის კალათბურთელი საჯარიმოებს; რამდენ შეცდომას უშვებს გადაცემისას და ა. შ. სსრ კავშირის ჩემპიონატის შემდეგ სპეციალური ბრიგადა ამუშავებს ყველა მატჩის ოქმს, ავსებს მოთამაშეთა „პირად საქმეებს“ და ობიექტურ მონაცემებზე დაყრდნობით არკვევს ვინ უნდა მოხვდეს უძლიერესთა სიაში.

ზოგი კალათბურთელი სიაში სუბიექტური შეფასებების შედეგად აღმოჩნდება ხოლმე. ასეთ გამონაკლისს სსრ კავშირის ნაკრების წევრთა მიმართ უშვებენ. და სწორედ ამით ეჭვქვეშ აყენებენ ობიექტური მეთოდის რეკომენდაციათა ობიექტურობას. ვინაიდან კალათბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმი სიების შედგენისას მიმართავს როგორც სუბიექტურ (სსრ კავშირის ნაკრების წევრთა მიმართ), ისე ობიექტურ (ყველა დანარჩენებისთვის) შეფასებას, ინტერესმოკლეულია არ იქნება გავერკვეთ ამ ორ პრინციპს შორის რომელი ასახავს უფრო ზუსტად ჭეშმარიტებას.

ეჭვსგარეშეა, რომ ი. კრუმინშიც და ვ. მუიენიეკსიც მაღალი კლასის კალათბურთელები არიან. მიუხედავად ამისა, 1965 წლის სეზონი მათ სუსტად ჩაატარეს. უძლიერესთა სიაში ამ კალათბურთელების შეყვანა ან ძველი დაშსახურებებისთვის ხარკის მოხდაა, ან ობიექტური მეთოდის გაუფასურება. ჩვენი აზრით, თვით კრუმინშიც და მუიენიეკსიც უხარხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, როცა თავი უძლიერესთა სიაში იხილეს: დიდ სპორტსმენებს არ სჯერდებათ შედგავთი.

ერთი ადამიანის სუბიექტური შეხედულება საბუთი როდია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ შარშანდელი ჩემპიონატის ყოველი ტურის შემდეგ, გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ გუნდის მწვრთნელებს სთხოვდა შეედგინათ სსრ კავშირის ნაკრების საკუთარი ვარიანტი (რა თქმა უნდა, ტურის შედეგებზე დაყრდნობით). მწვრთნელები, ფაქტიურად, 12 საუკეთესო კალათბურთელს ასახელებდნენ. I ტურის შემდეგ მუიენიეკსნი მხოლოდ 2 ხმა მიიღო, კრუმინშმა კი — 3. მომდევნო სამ ტურში ხუკეთესო კალათბურთელთა სიაში რიგელები საერთოდ არ დაუსახელებიათ. კიდევ მეტი, — კრუმინშნი და მუიენიეკსი თავიანთი კლუბის სასტარტო ხუთეულშიც კი არ იყვნენ შეყვანილი. „სასტარტო ხუთეულის“ მუდმივი და ყველაზე ზუსტი ხანონიმი კი „უძლიერესთა ხუთეულია“.

თავი დავანებოთ მარჩიელობას. ევფის მწვრთნელმა ო. ალტბერგმა თავად განაცხადა, რომ მას ჰყავდა კრუმინშსა და მუიენიეკსზე ძლიერი ცენტრალური თავდამსხმელი და მცველები. გამოდის, რომ კალათბურთელები, რომლებიც საკუთარ კლუბშიც კი არ იყვ-

„ლელა“ ინტერვიუ

# ჩვენი დარდი და იმედი

**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ესაუბრა სოხუმის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელს, სპორტის ოსტატ ი. გრამატიკოპულოს. აი, რა თქვა მწვრთნელმა:**

— „ა“ კლასის II ჯგუფში ჩვენი ბათუმელი თანაკლუბელების დაშვებამ, რასაკვირველია, ყველა გაგვახარა, მაგრამ უნდა გამოვიტყდეთ, რომ გულის სიღრმეში ოდნავი წყენაც ვიგრძენით. საქმე ის არის, რომ სოხუმის „დინამო“ „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო ასპარეზობაში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის გუნდებიდან შარშან ყველაზე კარგად გამოვიდა. მაგრამ ჯერჯერობით ჩვენ არ გვაქვს უფლება მოვითხოვოთ ადგილი „ა“ კლასის II ჯგუფში, ვინაიდან საამისოდ საჭიროა კოლექტივს ჰქონდეს კეთილმოწყობილი სტადიონი, რომელიც 20 ათასამდე მაყურებელს დაიტევდა. სოხუმში ასეთი ბაზა, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია.

რომ იცოდეთ, რა ჭაპანწყვეტით ვატარებთ წვრთნას, პირდაპირ შეგეცოდებით. ყოველი ვარჯიშის წინ იძულებული ვართ წყლით მოვრწყათ გაქვავებული მინდორი, რათა მოთამაშეებმა (განსაკუთრებით მეკარემ) გვერდები არ დაიმტვრიონ. საერთოდ, არა მარტო სოხუმის, არამედ აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ძალიან ცოტა მინდორია და რაც არის, ისიც მოუწყობელია. მაშ, საღ უნდა ადიზარდოს და გამოიწვრთოს ნორჩი ფეხბურთელი, რომელმაც უნდა შეცვალოს უფროსი თაობა? ქალაქის მიურეგულებულ ქუჩებსა და ეზოებში, თითოოროლა სასკოლო მოედანზე? განა ეს საკმარისია?

განა მოსათმენია, რომ ა. ლოლობერიძის, ვ. მარღანიას, ნ. ძიაშიპას, ი. ვარდიმიადის, გ. სიჭინავას, ა. ილიადის აღმზრდელ მხარეში ფეხბურთსმოწყურებულ ნორჩებს არა აქვთ წვრთნის ნორმალური პირობები?!

ჩვენი კოლექტივი მომავალი სეზონისათვის მზადებას თვენახევარია შეუდგა. წვრთნას მეტი ეფექტი ექნებოდა, რომ არასასურველი წინააღმდეგობები არ გვაბრკოლებდეს.

წლეულს კოლექტივში მივიღეთ რამდენიმე პერსპექტიული ახალგაზრდა, მაგრამ გუნდი უფრო გაახალგაზრდავდებოდა, რომ აფხაზეთის დედაქალაქში სისტემატურად ტარდებოდეს საქალაქო პირველობები. თუმცა ასეთი შეჯიბრებები როგორ ჩატარდება, როცა ქალაქის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ფეხბურთის გუნდები არ გააჩნიათ და თუ დროდადრო ისურვებენ ხოლმე სპორტის ამ სახეობაში რაიმე ღონისძიების გამართვას, მასში მონაწილე კოლექტივებს სახელდახელოდ უყრიან თავს. ცხადია, ამგვარ ღონისძიებას ნაკლები სარგებლობა მოაქვს.

ჩემი გულისნადები გითხარით, მაგრამ ასეა თუ ისე, სეზონი კარზეა მომდგარი და რა დაბრკოლებებიც უნდა შეგვხვდეს საქმიანობაში, ისინი ერთიანი ძალით უნდა გადავლახოთ. ყველაფერს ვიღონებთ, რათა ახალ სეზონში უფრო მაღალი ადგილი დავიკავოთ.

ერთს დავუმატებ: სოხუმში დაიწყო ახალი სტადიონის მშენებლობა. თუ იგი სწრაფი ტემპით გახორციელდება და ახალი ბაზის აგებას ყველა ღვიძლ საქმედ მიიჩნევს, უახლოეს წლებში სოხუმელ დინამოელებსაც იხილავთ „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდების მხარდამხარ მებრძოლთა როლში.

# მეგობართა შეხვედრა

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, ქუთაისში ამას წინათ გაიმართა საკონტროლო მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა შორის, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. მატჩს ესწრებოდნენ ფეხბურთის მოყვარულნი ახლო მდებარე ქალაქებიდან და სოფლებიდან.**

**სურათზე: გუნდების კაპიტნები შ. იამანიძე და ჯ. ხაჟალია ერთმანეთს შეესალმებიან თამაშის დაწყების წინ.**

ფოტო კ. შანიძისა.

# 9 აპრილს ესტრადის თეატრში

**ტ. პეტროსიან — ბ. სპასკის მატჩის წინ**

**მოსკოვი**, 11 მარტი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). ამას წინათ აქ მოეწყო პეტროსიან — სპასკის მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მოსკოვის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ისაევი.

კომიტეტმა გადაწყვიტა პეტროსიან — სპასკის მატჩი ჩაატაროს მოსკოვის ესტრადის თეატრში, სადაც 1963 წელს ბოტვინიკ — პეტროსიანის ორთაბრძოლა შედგა. შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნება 9 აპრილს.

სხდომაზე დიდი ყურადღება დაეთმო ასპარეზობის პროპაგანდასა და მუშაობას მაყურებლებთან. დამტკიცდა პარტიების თამაშის დღეებში ჩასატარებელი 24 ლექციის თემა. დიდოსტატები გაარჩევენ მატჩის პარტიებს და ერთდროულად თამაშის სვანსებში შეხვდებიან გულშემატკივრებს.

მატჩის მონაწილენი და ორგანიზატორები სამჯერ შეხვდებიან ჟურნალისტებს პრეს-კონფერენციებზე. მიღებულია გადაწყვეტილებები ორთაბრძოლის პროპაგანდის თაობაზე პრესის, რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით. გამოვა სავანგებო ბიულეტენი, მატჩისადმი მიძღვნილი სამკერდე ნიშანი, საფოსტო მარკა და ა. შ.

მატჩზე მოელიან მრავალ უცხოელ სტუმარს. 10 წლის შემდეგ მოსკოვში ჩამოსვლას აპირებს ფიდე-ს პრეზიდენტი ფ. როგერი (შვეიცია). მ. ეიგემ მასპინძლებს შეატყობინა, რომ დაესწრება მატჩის პირველ პარტიებს. შორეული კანადიდანაც კი მოვიდა წერილი. იგი გამოგზავნა ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტმა ე. პრენტისმა, რომელიც ასევე აპირებს მოსკოვში ჩამოსვლას.

# ქ. გოგიავას საბ გამარჯვება

თბილისის ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის V ტური ისე მძაფრად მიმდინარეობდა, რომ მხოლოდ პილცერ—კუპრაშვილის პარტია დამთავრდა (გაიმარჯვა პილცერმა). დანარჩენი შეხვედრები დაუმთავრებელი დარჩა.

VI ტურში ერთ-ერთი ლიდერის ვინაობის გასარკვევად მნიშვნელობა ჰქონდა გოგიავა—ჩომახიძის შეხვედრას. გაიმარჯვა გოგიავამ. წინ მიიწევს ჩიქობავაც, რომელმაც მოუგო ბელოზიოროვას. კუპრაშვილი დამარცხდა მანველოვასთან, სარაიდაროვა — ხუბულურთან. 3 პარტია გადაიდო.

გუშინწინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. 2 პარტია მოიგო გოგიავამ (ხუგაშვილთან და გედეანიძესთან). ხუგაშვილი დამარცხდა აგრეთვე პილცერთან შეხვედრაში.

ყოველივე დამთავრდა პარტიები: ბელოზიოროვა — მანველოვა, ჩიქობავა — სარაიდაროვა, ხუბულური — ნაჭყებია, კობაიძე — ჩომახიძე და ნაჭყებია — კობაიძე.

6 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ ნ. ჩიქობავა (5 ქულა), ქ. გოგიავა (4,5 ქულა 5-დან), ნ. ხუბულური (4) და ლ. ნაჭყებია (3,5).

# ᲐᲛᲐᲒᲘ ᲓᲐᲣᲤᲐᲡᲓᲐ

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის საჭადრაკო დარბაზში ახლახან მოეწყო ჰიგიენისა და სპორტული მედიცინის კათედრის დოცენტის, საქართველოს დამსახურებული ექიმის ვ. ჯაველიძის დაბადებიდან 75 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საექიმო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

საღამო გახსნა ინსტიტუტის რექტორმა ვ. სამსონაძემ. ვ. ჯაველიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ილაპარაკა პროფესორმა მ. გორგაძემ.

მშობლიური სოფლიდან ვ. ჯაველიძეს მიესალმა ა. სიმაშვილი. ღვაწლმოსილ მეცნიერს მიესალმნენ აგრეთვე სხვადასხვა ფიზკულტურული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

„ბურევესტნიკის“ რესპუბლიკურმა საბჭომ ვ. ჯაველიძე დააჯილდოვა საპატიო სიგელით.

დასასრულს გაიმართა კონცერტი.

ბ. ᲕᲘᲒᲝᲜᲗᲕᲘᲚᲘ.



**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** სოხუმელი სპორტსმენები სამადარო ნიჩბოსნობაში ვარჯიშის დროს.

ფოტო ს. ოოლტიკოვისა.

აფხაზეთში თბილი ამინდი დგას. ბუნების ამ სიკეთეს კარგად იყენებენ სოხუმელი ნიჩბოსნები, რომლებიც სისტემატურად ვარჯიშობენ საკავშირო კატეგორიის მსაჯის ნ. ემუხვარის ხელმძღვანელობით. ისინი აქედანვე ემზადებიან მომავალი სტარტებისთვის.

# ᲐᲯᲐᲥᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

● კალინინგრადი (მოსკოვის ოლქი), 10 მარტი. „ვიმპელის“ სტადიონის საცურაო აუზის უნივერსალური დარბაზის სარბიელი 7 დღის განმავლობაში რსფსრ-ს ხელბურთელთა 6 უძლიერესი გუნდის სასპარეზო იყო. საკავშირო ჩემპიონატის „ა“ კლასის I ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს კრასნოდარელმა სტუდენტებმა, რომლებმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხეს მასპინძლები — „ვიმპელის“ ხელბურთელები — 26:14.

# ᲛᲮᲜᲔᲝᲒᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

კარგი ინიციატივა გამოიჩინა ზესტაფონი რაიონის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დირექციამ (დირექტორი ა. კვესიტაძე), როცა ადგილობრივი საბჭოდრო კომისარიატის, დოსაფის, სასამართლოს, პროკურატურისა და მილიციის საშუალო ასაკის მუშაკებს სპორტსკოლის დარბაზში ვარჯიშის საშუალება მისცა. სპორტსკოლის მასწავლებლები ამ ჯგუფის წევრებს უანგაროდ უწევენ კონსულტაციასა და ხელმძღვანელობას.

შუახნის მიღწეულმა ფიზკულტურელებმა გაუგეს ფასი სპორტულ დაფურვას, ვარჯიშსა და ასპარეზობებს. ისინი ახლა თავს გაცლებით მხნედ გრძნობენ. მუყაითი ვარჯიშით გამოირჩევიან შ. მიმსურაძე, თ. ლეფავა, ა. დარდაგანიძე, ი. მოროზოვი, ო. ფერაძე, შ. ეპრამიშვილი, შ. ნაჭყებია, ლ. შარაშენიძე და სხვ.

ა. ᲒᲐᲜᲣᲑᲠᲐᲕᲐ.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი.

# ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲡ — ᲗᲐᲡᲘ

**ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მიეძღვნა ლენინის სახელობის სპორტდარბაზში გამართული მოფარიკავეთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის უძლიერესი სპორტსმენი ქალები.**

**სამახსოვრო თასი დაიმსახურა სპორტის ოსტატმა ნელი დიბორჯგინიძემ. II ადგილზეა სპორტის ოსტატი ჟულიეტა გიორგაძე, ხოლო III — პირველთანრიგოანი სვეტლანა სვანიძე.**

ლ. ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

# ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘ?

ნენ პირველი ნომრები, უძლიერესთა სიაში მოხვდნენ, თბილისის დინამოელი ა. ლეჟავა კი (რომელიც „სოვეტსკი სპორტის“ ანკეტაში მხოლოდ ა. პეტროვს და ი. ლიპსოს ჩამორჩა) — არა.

რატომ მოხდა, რომ ადამიანებთან კამათში (ადამიანებს ხომ შეცდომებიც ხშვვიათ) მიუკერძოებელი და „გულცივი“ ციფრები შეცდნენ?

კალათბურთელთა მატჩის ტექნიკური ოქმი შეიძლება კადრაკის პარტიის ოქმს შევადაროთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აბსოლუტურად ერთნაირი არიან. ჭადრაკის პარტია თავიდან ბოლომდე შეგიძლიათ „წაიკითხოთ“. კალათბურთის ოქმი კი იძლევა დეტალებს: ძალზე ზუსტს, ძალზე მნიშვნელოვანს, ძალზე საჭიროს, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ყველა დეტალს, რაც აუცილებელია მთელი მატჩის „შესაკრებად“.

შეკითხვაზე — როგორ თამაშობს ესა თუ ის მეკელი, მიიღებთ დაახლოებით და არც ისე კონკრეტულ პასუხს. გადაცემათა „ჩაჭრა“, ფარიდან ასხლეტილი ბურთების დაუფლება — ეს არის და ეს. ოქმში არაფერია ნათქვამი ისეთ დეტალებზე, როგორიცაა პარტნიორთა ურთიერთდაზღვევა, მეტოქის მჭიდროდ „აყვანა“, ურთიერთმოქმედება პრესინგიხას, მოკლედ, დაცვაში თამაშის უნარი.

ოქმის დეტალური ანალიზიც კი არ გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ, როგორი დრიბლინგი აქვს კალათბურთელს, გავიგოთ მისი სიხშირაფის, მისი ნებელობითი თვისებების შესახებ.

ზოგ შემთხვევაში კი ეს ოქმი, უბრალოდ, თავეზას აგვიხსნის. ვთქვათ, მასში აღნიშნულია, რომ ერთმა მოთამაშემ დაავროვა 15 ქულა (მოხვედრის პროცენტი 30), ხოლო მეორემ — 20 (მოხვედრის პროცენტი 40). ნიშნავს თუ არა ეს, რომ მეორე მოთამაშემ პირველზე უკეთ ითამაშა? მუდამ არა. ხომ შესაძლებელია ასეთი ვარიანტიც— პირველი მოედანზე იმყოფებოდა მაშინ, როდესაც თამაში ჭელა-ჭელაში მიდიოდა და სპორტსმენთა ნერვები უაღრესად დაძაბული იყო, მეორე კი თამაშში მაშინ ჩაება, როცა მისი გუნდი იგებდა (ან აგებდა) 15-20 ქულით.

შესაძლოა ობიექტური შეფასების მიმმრეები შემოგვედგან: მწვრთნელებიც და ოქმებიც, როგორც წესი, ხომ ერთსა და იმავე კალათბურთელებს ასახელებენ. როგორც წესი, ასახელებენ, მაგრამ გაბონაკლისი შემთხვევებიც არის. უძლიერეს კალათბურთელთა 1964 წლის სიაში არ იყო დასახელებული თბილისის დინამოელი ზ. საკანდელიძე, 1965 წლის სეზონის თავში კი იგი სხვ კავშირის ნაკრებში შეიყვანეს. ეს გადაწყვეტილება არავისთვის არ იყო მოულოდნელი.

ნუ იფიქრებთ, თითქოს ეჭვი შეგვაქვს კალათბურთის სტატისტიკის სარგებლიანობაში. პირიქით, ციფრების უარყოფა სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს. სტატისტიკოსთა გულმოდგინე შრომა პატივისცემასა და მადლიერების გრძნობას იმსახურებს: ისინი ჩვენი კალათბურთის ლოცმანები არიან.

მაგრამ რეალურად არსებობს შეორე უკიდურესობაც — ციფრებით გატაცება, მათ წინაშე ქედის მოხრა. საქმე ის კი არ არის, როგორ კომპლექტდება უძლიერესთა სიები, — ეს სიები ამ შენიშვნების საბაბია და არა მიზეზი. მთავარია, რომ ზოგჯერ ციფრებს მიღმა მოთამაშეს ვერ ხედავენ, უფრო ზუსტად — მოთამაშის ნაყოფად მხოლოდ ციფრთა სვეტებს ამჩნევენ. სწორად კალათბურთელის შესახებ მისი თამაშის ხი არა, მაჩვენებლების მიხედვით მსჯელობენ. ციფრების ფეტიშიზაცია კი ისეთივე სიზიფოსია, როგორც. საერთოდ მათი უარყოფა.



Ა. ᲞᲘᲜᲘᲜᲯᲘ.

# სსრ კავშირის პირველობიდან ევროპის ჩემპიონატამდე

კლასიკურ ჭიდაობაში სსრ კავშირის გუნდური პირველობა წლეულს სპორტსაზოგადოებებსა და უწყებათა ნაკრებ კოლექტივთა შორის ჩატარდა. გომელში ჩემპიონატის გახსნაზე თავი მოიყარა მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ — 25-მა. ტურნირში გამოდიოდნენ საქართველოს „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ ათლეტებიც.

I ტურში „კოლმეურნემ“ მინიმალური სხვაობით წააგო „დაუგავთან“ (10 : 12), ხოლო „განთიადმა“ დაამარცხა „კოლხეზოკული“ (20 : 8). მეორე ტურში ჩვენმა გუნდებმა „როლები შეცვალეს“: „კოლმეურნემ“ მოუგო „აშხატანქს“ (18 : 10), „განთიადი“ კი დამარცხდა „კრასნოე ზნამიასთან“ (11 : 15).

დაბაბული ბრძოლით აღინიშნა „კოლმეურნისა“ და „ლოკომოტივის“ მოჭიდავეთა შეხვედრა III ტურში. ჩვენი გუნდი ახლოს იყო გამარჯვებასთან. მაგრამ ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება. განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ი. სიორიძისა და ა. მოტინის (ძმიმე წონა) შეხვედრის ფინალი. ქართველ ფალავანს მეტოქე დიდხანს ჰყავდა ჩაყენებული კრიტიკულ მდგომარეობაში, მაგრამ მოტინმა თავი დააღწია ხიფათს და... ბეჭებზე დასცა სიორიძე. საბოლოოდ გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ — 16:9.

ყოველი ახალი ტური საგრძნობლად ამცირებდა პირველობისათვის მებრძოლ კოლექტივთა რიცხვს. სარბიელიდან მაყურებელთა რიგებში გადაინაცვლეს „კოლმეურნისა“ და „განთიადის“ მოჭიდავეებმაც გადამწყვეტ ეტაპს მხოლოდ რამდენიმე კოლექტივი შემორჩა, მათ შორის არმიის მოჭიდავეთა ნაკრები, რომელიც ზედიზედ ამარცხებდა მეტოქეებს.

განსაკუთრებით პასუხსაგები გამარჯვება მოიპოვეს არმიელებმა „დინამოსთან“ შეხვედრაში — 17 : 13. არმიელი მოჭიდავეები დაეპატრონენ გარდამავალ თასს. II ადგილი დაისაკუთრა „სპარტაკმა“, ხოლო III — „ლოკომოტივმა“.

როგორც ცნობილია, 13-15 მაისს ესენში (გფრ) გაიმართება ევროპის ჩემპიონატი, რომელიც ხანგრძლივი „შესვენების“ შემდეგ კვლავ აღდგა თავის უფლებებში. სსრ კავშირის გუნდური პირველობა ერთგვარ რეპეტიციას წარმოადგენდა ამ საპასუხისმგებლო ტურნირის წინ. საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ შედგა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: უმჩატესი წონა— ვ. ბაკულინი, კ. აგაევი, ი. მიხაილიშინი. მჩატე — ა. საიადოვი, რ. კაზაკოვი, ჟ. ზახარიანი; ქვემსუბუქი — ი. გრიგორიევი, ს. აგამოვი, ვ. ტულუპოვი; მსუბუქი — გ. მარკოვი, დ. გვანცელაძე, ვ. ნოეოსტაკო; ქვესაშუალო — გ. ვერშინინი, ვ. ივლევი, შ. ტელაროვი; საშუალო — ა. კიროვი, ა. იურკევიჩი, ო. ბლიაძე; ქვემძიმე — ა. კარმაკანი, ვ. მერკულოვი, ვ. კოტი, მძიმე — ა. რომჩინი, ა. კოჩნევი და ვ. სუსიჩი.

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში..

**სოფია, 10 მარტი.** მოსკოველმა სტუმრებმა — ცსკა-ს ფეხბურთელებმა მესამე მატჩი გამართეს ბულგარეთში. მათ დაამარცხეს ადგილობრივი „ლოკომოტივი“ — 2:1. ანგარიში შესვენების შემდეგ გახსნა სეკეჩმა. მეორე გოლი მასპინძელთა კარში მოათავსა პოლიაკოვმა. სტუმართა კარში გატანილი გოლის ავტორია მიხაილოვი.

**ბეირუთი, 10 მარტი.** ლიბანში სტუმრად მყოფმა მოსკოვის „ტორპედომ“ მეორე მატჩი გამართა. საბჭოთა ფეხბურთელებმა მოუგეს „ნიემეკს“ — 3:0. ყველა ბურთი გატანილ იქნა შესვენების შემდეგ.

**რეხი, 10 მარტი.** იუგოსლავიაში იმყოფება მოსკოვის „ლოკომოტივი“. მისი შეხვედრა ადგილობრივ გუნდთან ფრედ დამთავრდა — 0:0.

## საკავშირო რეკორდი ბრემენის აუზში

ბრემენი, 10 მარტი. ადგილობრივ 25-მეტრიან აუზში გაიმართა სსრ კავშირის, ჰოლანდიისა და გფრ-ის მოცურავეთა სამატჩო შეხვედრა.

სსრ კავშირის ახალი რეკორდით დაამთავრა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვა ს. ბაბანინამ (1.15,6). მანვე გაიმარჯვა 200 მეტრზე ცურვაშიც — 2.46 6

2-ჯ გამარჯვება მოიპოვეს ლენინგრადელმა ტ. სავლიევამ და მოსკოველმა თ. სოსნოვამ. პირველმა მოიგო 100 და 200 მეტრზე ზურგზე ცურვა (შესაბამისად — 1.10.8 და 2 34,0), ხოლო მეორემ — 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა (1.03,6 და 2.19 6).

კომბინირებულ ეტაფეტაში 4×50 მეტრზე გაიმარჯვა სსრ კავშირის გუნდმა (ტ. სავლიევა, ს. ბაბანინა, ტ. დვიატოვა და თ. სოსნოვა) — 2 09.5.

კარგად გამოვიდნენ საბჭოთა მოცურავე ვაჟებიც. ვ. კუზმინმა მოიგო 100 და 200 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვა — 1.00.3 და 2 14,4. ა. დუნაევი პირველი იყო 200 მეტრზე კომბლექსურ ცურვაში — 2.20.5.

## ამერიკელთა უარი

როგორც ცნობილია, წლეულს ოქტომბერში პავანას გაიმართება საერთაშორისო საჰადრაკო ოლიმპიადა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გუნდების მონაწილეობით.

ამერიკის შეერთებული შტატების საჰადრაკო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ მისი გუნდი კუბაში არ გაეგზავნება, ვინაიდან სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი განაცხადა ვიზების მისცემის მოგზაურობაზე.

რაც შეეხება ე. წ. „მცირე ოლიმპიადას“ (სსრ კავშირის, არგენტინის, იუგოსლავიისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდების მონაწილეობით), რომელიც სექტემბრისთვის არის დანიშნული ბუენოს-აირესში, ამერიკელებმა დაადასტურეს, რომ უეჭველად ითამაშებენ ამ ტურნირში.

ლაჯვარი ჟურნალი

ოთხშაბათს ოთხშაბათს

## სენსაცია ლისაბონში

**ფეხბურთის** სპეციალისტთა ცხოველ ინტერესს იწვევდა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის საპასუხო მეოთხედფინალური მატჩი ლისაბონის „ბენფიკასა“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“ შორის (პირველი მატჩი მანჩესტერში პორტუგალიის ჩემპიონმა წააგო — 2:3).

მატჩი ლისაბონის „ლუსის“ სტადიონზე მოეწყო. თამაშის წინ „ბენფიკას“ საუკეთესო ფორვარდს ეუსებიოს გადაეცა „ოქროს ფეხბურთელის“ პრიზი, როგორც ევროპის 1965 წლის საუკეთესო ფეხბურთელს.

დასაწყისშივე აშკარა გახდა, რომ ინგლისის ჩემპიონი საუკეთესო ფორმაშია და ლისაბონშიც აპირებს გამარჯვებას. უკვე მე-15 წუთზე ინგლისელები წინ იყვნენ ანგარიშით 3:0! პირველი 2 გოლი გაიტანა მარცხენა გარემარბმა ბესტმა, ხოლო მესამე — მარჯვენა გარემარბმა კინელიმ.

შესვენების შემდეგ ეუსებიოს მიერ დარტყმული ბურთი საკუთარ კარშიც ჩაჭრა ერთ-ერთმა ინგლისელმა მცველმა — 1:3. ფინალურ სასტვენამდე მანჩესტერელებმა კრერანდმა და რ. ჩარლტონმა „ბენფიკა“ საბოლოოდ „დაასამარეს“ — 5:1.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა „ბენფიკამ“ საკუთარ მინდორზე წააგო უცხოურ გუნდთან. ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელმა სამარცხვინოდ დატოვა გათამაშება. ლისაბონელებს სანუგეშოდ ისღა დარჩათ, რომ გათამაშების ფინალი მათ ქალაქში, იმავე „ლუსის“ მინდორზე ჩატარდება.

(საკ. ინფ.).

## „რეალი“ ნახევარფინალში

**ევროპის** ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მადრიდის „რეალი“ და ბრიუსელის „ანდერლეხტი“ (პირველი მატჩი ბრიუსელში „ანდერლეხტმა“ მოიგო — 1:0).

„რეალი“ უკვე მე-7 წუთზე დაწინაურდა — 1:0. გოლი გაიტანა ამანსიომ. ბელგიელთა დაცვა ძლივს უმკლავდებოდა მადრიდელთა სწრაფ გარღვევებს. განსაკუთრებით ძნელი იყო „რეალის“ მარცხენა გარემარბის ჰენტოს შეკავება.

35-ე წუთზე ამანსიო მეტეორივით შეიჭრა „ანდერლეხტის“ საკარიმო მოედანში და მეორე გოლი გაიტანა — 2:0. ბელგიელებმა უხეშობა დაიწყეს და 38-ე წუთზე არბიტრმა მიიდვრიდან გააძევა მათი მარცხენა მცველი კორნელისი.

ესპანელი ფორვარდების სახიფათო გარღვევებმა „ანდერლეხტი“ აიძულეს ყრუ დაცვაზე გადასულიყო. მე-60 წუთზე ჰენტომ გაიტანა პენალტი — 3:0. შემდეგ კი მადრიდელთა ცენტრფორვარდმა, 21 წლის გროსომ ანგარიში გაზარდა — 4:0.

როცა მატჩის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, სტუმართა ნახევარმცველმა ქურიონმა 25 მეტრის მანძილიდან დარტყმით სხვაობა შეაშცირა — 1:4, ხოლო 91-ე წუთზე (არბიტრმა დრო დაუმატა, ვინაიდან უწესრიგობის გამო დაიკარგა დრო) პიუიმ ისარგებლა ბეტანკორის უყურადღებობით და კიდევ 1 გოლი გაქვითა — 2:4.

ორ მატჩში ბურთების უკეთესი შეფარდების (4:3) წყალობით „რეალი“ ნახევარფინალში გავიდა.

აი, ოთხივე ნახევარფინალისტი: ბელგრადის „პარტიზანი“, მილანის „ინტერნაციონალე“, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და მადრიდის „რეალი“.

(საკ. ინფ.).

## „ლიდსი“ ინგლისის ჩემპიონი

„ლიდსის“ დაცვა, სადაც გამოირჩეოდა „სტოპერი“ ჯ. ჩარლტონი, თავიდანვე სრული დატვირთვით მოქმედებდა. 30-ე წუთზე თავისუფალი დარტყმიდან მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა უნგრელმა ფაზეკაშმა და ანგარიში გახსნა — 1:0. შესვენებამდე ინგლისელმა ბელმა ხელიდან გაუშვა გოლის გატანის ნაღდი შანსი.

მეორე ტაიმში მასპინძლების შეტევები არ შენელებულა, მაგრამ ლიდსელებსაც ჰქონდათ სახიფათო კონტრიერიშები და 75-ე წუთზე ლორიმერმა ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

„ლიდს იუნაიტედი“ ნახევარფინალში გავიდა.

(საკ. ინფ.).

## ხელგურთის მერიდიანეგზე

### შესარჩევი მატჩი

ამსტერდამი. აქ გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატის განმეორებითი შესარჩევი მატჩი ჰოლანდიისა და შვეიცარიის ვაჟთა ეროვნულ გუნდებს შორის (პირველი შეხვედრა მოიგეს შვეიცარიელებმა — 13:8). ჰოლანდიელები მეორე შეხვედრაშიც დამარცხდნენ — 8:14. ამ ჯგუფიდან ფინალში გასასვლელად იბრძვიან გფრ-ისა და ბელგიის ნაკრები გუნდებიც. ამჟამად აქ ასეთი მდგომარეობაა: გფრ-ს და შვეიცარიას 8-8 ქულა აქვთ, ჰოლანდიას — 2, ხოლო ბელგიას — 0. გასამართავი დარჩა კიდევ 3 მატჩი: ჰოლანდია — ბელგია, ბელგია — გფრ და გფრ — შვეიცარია. ამ მატჩების შედეგებს გათამაშების ცხრილში არსებითი ცვლილებების შეტანა აღარ შეუძლიათ, ვინაიდან გფრ-მა და შვეიცარიამ ფინალის საგზურები უკვე გაინაღდეს.

### ჩემპიონთა თასზე

ლაიპციგი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ადგილობრივ დნფკ-სა და „ზაგრების“ (იუგოსლავია) გუნდებს შორის დამთავრდა გერმანელთა გამარჯვებით — 17:15 (9:5). მასპინძლები, რომლებმაც პირველი მატჩიც მოიგეს (18:14), ნახევარფინალში გავიდნენ.

### ამხანაგური შეხვედრები

ოსლო. მსოფლიოს ჩემპიონი — რუმინეთის ვაჟთა ნაკრები ტურნეს ატარებს სკანდინავიის ქვეყნებში. ამ ქალაქში ჩამოსვლამდე რუმინელები იყვნენ კოპენჰაგენში და იქ დაამარცხეს დანიის ეროვნული გუნდი — 20:17. მათ „იმსხვერპლეს“ მასპინძლებიც, რომლებთანაც 2 მატჩი გამართეს და ორივეში გაიმარჯვეს — 17:12 და 19:8.

## ბოლო ცნობები

### ბურთი ბადეში

ბუენოს-აირესი. ინგლისელ ფეხბურთელ ბობ ჩარლტონს ბრაზილიაში ჩასვლისთანავე ბედნიერ ბურთი ბადეში ჩააგდო. ეს ბურთი ბადეში ჩააგდო ინგლისელ ფეხბურთელ ბობ ჩარლტონს ბრაზილიაში ჩასვლისთანავე ბედნიერ ბურთი ბადეში ჩააგდო. ეს ბურთი ბადეში ჩააგდო ინგლისელ ფეხბურთელ ბობ ჩარლტონს ბრაზილიაში ჩასვლისთანავე ბედნიერ ბურთი ბადეში ჩააგდო. ეს ბურთი ბადეში ჩააგდო ინგლისელ ფეხბურთელ ბობ ჩარლტონს ბრაზილიაში ჩასვლისთანავე ბედნიერ ბურთი ბადეში ჩააგდო. ეს ბურთი ბადეში ჩააგდო ინგლისელ ფეხბურთელ ბობ ჩარლტონს ბრაზილიაში ჩასვლისთანავე ბედნიერ ბურთი ბადეში ჩააგდო.

### ...

## ...

## ...



## ხვალ დელისში!

## საქართველოში მესამედ

მოტოკროსში სსრ კავშირის ბოლო ორი ჩემპიონატის ზედიზედ საქართველოში გამართვამ გაამართლა: ჩვენს ძთიან ტრასებზე ვარჯიშმა და შემდეგ შეჯიბრებამ კარგი სამსახური გაუწია საბჭოთა სპორტსმენებს: მათ მსოფლიო ჩემპიონატშიც მიაღწიეს წარმატებას.

საქართველოში წლეულს მესამედ ეწყობა საკავშირო პირველობა მოტოკროსში. უკვე განვლილია რუსთავის ეტაპი. ხვალ დელისში გაიმართება II ტური 250 და 500 კბ სმ მოტოციკლებით მოასპარეზეთათვის. სტარტზე გამოვლენ რუსთავის ეტაპში გამარჯვებულები — მსოფლიოს ჩემპიონი ვ. არბეკოვი და ზ. კალეისი, მსოფლიო პირველობის პრიზიორი ი. გრიგორიევი და VII ადგილის მფლობელი გ. დრაუგსი, სსრ კავშირის ჩემპიონები ს. კადუშკინი, ი. აგეევი, ა. იაკოვლევი, ჭაბუკთა საკავშირო ტურნირში გამარჯვებული ა. კლდიაშვილი და სხვ.

ასპარეზობის მონაწილეები 2 ცდით 48 კილომეტრს გაივლიან.

დასაწყისი 12 საათზე. შეჯიბრების ადგილზე მისვლა შეიძლება ავტობუსითა (მარშრუტები — №№ 2, 2-ა, 47, 47-ა, 49, 50, 50-ა) და ტროლეიბუსით (№№ 4, 5, 11).

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04881